ხაშურის მოამბე

№25 (447) 8 ივლისი, ორშაბათი, 2024 წელი

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიისა და მისი 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ საჯარო განხილვა მოეწყო

შეხვედრას ხაშურის მუნიციპალიტეტიდან ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

აღნიშნული სტრატეგიის შესახებ პრეზენტაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარებისა და მთის განვითარების

დეპარტამენტის უფროსმა გიორგი დიდიძემ წარადგინა. შეხვედრის მიმდინარეობისას ყურადღება გამახვილდა მაღალმთიანი დასახლებების მდგრად განვითარებაზე, ასევე, ადგილობრივ მცხოვრებთა სოციალურ მხარდაჭერასა და სერვისების ხელმისაწვდომობაზე.

გარდა ამისა, მხარეებმა იმსჯელეს სტრატეგიის მიზნების და ამოცანების შესაბამისად გაწერილი აქტივობების შესახებაც, რომლებიც განსაზღვრულია სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პროექტების ფარგლებში.

სტრატეგიის უმოკლეს ვადებში დამტკიცების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უკვე დაიწყო რეგიონებში გასვლა და კონსულტაციების გამართვა.

,,საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2024-2030”-ის მაკოორდინირებელ უწყებად განსაზღვრულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. დოკუმენტების დამტკიცებამდე, სავალდებულოა მათი საჯაროდ განხილვა და შესაბამისი უკუკავშირი.

საბა ჩილაშვილი 20 წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონია

სერბეთის ქალაქ ნოვი-სადში მიმდინარე ევროპის 20 წლამდელთა ჩემპიონატზე, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ზემძიმე წონაში, საბა ჩილაშვილმა ფინალში თურქი ბექირი დაამარცხა და ჩემპიონი გახდა. ხაშურელმა მოჭიდავემ შარშან 17 წლამდელებში იჩემპიონა, წელს კი 20 წლამდელებს შორის სადებიუტო სეზონშივე ოქრო მოიპოვა!

ვულოცავთ საბას, ვულოცავთ მწვრთნელებს და ვულოცავთ ყველა გულშემატკივარს ამ უდიდეს წარმატებას!

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი შეხვედრა

საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს იმ პროექტების შესახებ, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება. დისკუსია შეეხო წყლისა და წყალარინების მასშტაბური პროექტის მიმდინარეობას, სურამში მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობას, სხვადასხვა სახის კულტურულ ღონისძიებებს, სპორტულ თემებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

შეხვედრის დასასრულს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა და საბჭოს წევრებმა სამომავლო გეგმები დასახეს და მათ განხორციელებაზე იმსჯელეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა

შეხვედრა ეხებოდა სხვადასხვა თემებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საკითხების გაუმჯობესებას, სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

განსაკუთრებული ხაზი გაესვა სოფლებში გარე განათების საკითხების მოწესრიგებას, სკვერებისა და დასასვენებელი სივრცეების განათებას.

საუბარი, ასევე, ეხებოდა სურამში, ტურიზმის მიმართულებით განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე, მოადგილე-ზვიად გოგუაძე, მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე.

აღნიშნული ხასიათის შეხვედრები, ინტენსიურად იმართება და მუნიციპალიტეტის საჭიროებების უკეთ შესწავლას და განხორციელებას ემსახურება.

აიპ "ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" ანგარიში 2023 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ძირითადი ამოცანებია: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 27/12/2022წ №84. 842236124 ბრძანებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2023წლის მუნიციპალური პროგრამის განხორციელება;

ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მართვა და მონიტორინგი;

იმუნიზაციის მართვა და მონიტორინგი;

პარაზიტული დაავადებების (ჰელმინთების..) სკრინინგული კვლევები

ცოფის (ჰიდროფობიის) პრევენცია;

სახელმწიფო დაწესებულებების (სკოლები ,ბაგა-ბაღები ..) სანიტარულ-ჰიგიენური კონტროლი;

მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა

HCV (C ჰეპატიტი), IV(შიდსი) და TB(ტუბერკულოზი) სკრინინგი;

კოვიდ-19 სკრინინგი;

საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების (სალონები) სანიტარულ-ჰიგიენური კონტროლი;

ვერბალური აუტოფსია;

თამბაქოს ჩარჩო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწევის და რეალიზაციის მონიტორინგი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, აღნიშნულ პერიოდში, სხვა ინფექციების მხრივ, ეპიდსიტუაცია დამაკმაყოფილებელია. დაფიქსირდა შემდეგი ინფექციები: ყივანახველა-3 ჰეპატიტი „ბ"- 2(7) ჰეპატიტი „ც"—111(63 2022წ). სალმონელოზი--6(0) ეშერიხია--1(1) ბაქტერიული მენინგიტი---0(1) ჩუტყვავილა—120(67), ქუნთრუშა-27, (2),სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა--660(611), სოკოთი მოშხამვა--3(9) სავარაუდო დიარეული დაავადება-303(374), ტულარემია--3(0),ბრუცელოზი--1,ლაიმის დაავადება--3,ნოზოკომიური დაავადებები--41(23). ბაქტერიულისეფსისი-1, ტუბერკულოზი -11(10), ყირიმ კონგო--3(3),ლეპტოსპიროზი -4 ,სიფილისი-11/1ორსული/(11), 0-5 წლამდე ბავშვის გარდაცვალება-1, 15-49 წლამდე ქალის სიკვდილი-6, ტუბერკულოზი--12(10) ზედა სასუნთქი გზების ინფექცია--1614 (მ.შ. გრიპი--1) ყველა შემთხვევაზე ჩატარებულია ეპიდემიოლოგიურ კვლევები ბრძანება №55/ო-ს შესაბამისად.

ცხოველების მიერ დაზარალებულ პირთა რაოდენობა საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 685 (623-2022წ) მათ შორის: პატრონიანი ცხოველი--323(296), მოხეტიალე--362 (327) ყველა მათგანს ჩაუტარდა ანტირაბიული აცრების შესაბამისი (პირობითი ან სრული) კურსი . გაიხარჯა 2036 (1574) ანტირაბიული ვაქცინა და 126 (44) იმუნოგლობულინი.28 პირმა არ დაასრულა-შეწყვიტა ვაქცინაცია . ყველა შემთხვევა ეცნობა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ადგილობრივ სამსახურს ცხოველებში ეპიდკვლევების ჩასატარებლად. საანგარიშო პერიოდში, ანტირაბიული კაბინეტი მომარაგებული იყო ანტირაბიული ვაქცინისა და იმუნოგლობულინის საკმარისი რაოდენობით, ასევე ადგილზე გვაქვს სპეციფიკური შრატების და ვაქცინების სტრატეგიული მარაგები.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით ჩატარებული აცრების რაოდენობა---7905 (მ.შ. გეგმიური--5482, არაგეგმიური--2423): ჰექსა-1312—87.4% (1034-69,2%); წითელა-წითურა ყბაყურა-1314—92.0%-71.2%.(1-73,8%.2-58,4%); როტა-651-63.8%(503-51%) პნევმო-1338-86.8%(1020-68%), ტდ--682-57.9%(353 -40,9%). გარდასილი--633-32,3-12,%(425-16.9-9,6%). გრიპი--1413 და ა.შ. . იმუნიზაციის მაჩვენებლები რამდენიმე ვაქცინის შემთხვევაში ვერ უტოლდება მოცვის მაჩვენებლებს, განსაკუთრებით დაბალია გარდასილის (პაპილომა ვირუსის საწ.) შემთხვევაში.

ინტეგრირებული სკრინინგის (ც ჰეპატიტი,შიდსი,ტუბერკულოზი) სგდც მიერ გამოკვლეული იქნა 705 პირი.

განხორციელდა ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული 14 სამედიცინო დაწესებულების მონიტორინგი. (იმუნიზაციის და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი...)

ჩატარდა სანიტარულ ჰიგიენური ნორმების შემოწმება 25 საჯარო სკოლაში, 18 საბავშვო ბაღში და 34 ესთეტიკური დანიშნულების ობიექტში(სალონები)

ყოველთვიურად მიმდინარეობს თამბაქოს მოხმარების და თამბაქოს პროდუქტებით ვაჭრობის მონიტორინგი, მოწევის მონიტორინგი ჩატარდა 134 ობიექტზე (სკოლა ,საჯარო დაწესებულება,სილამაზის სალონი სამედიცინო დაწესებულება,სასტუმრო და კაფე-რესტორნები), ტრანსპორტი--78, შემოწმდა--96 სავაჭრო ობიექტი. დარღვევები დაფიქსირდა სპეციალურ პროგრამაში.

ჰელმინთებზე გამოკვლეული იქნა 18 მუნიციპალური და 2 ალტერნატიული ბაგა ბაღის 788 აღსაზრდელი, ინვაზირებული აღმოჩნდა 110 (მ.შ. ასკარიდა--53, ენტერო--57. პარაზიტოლოგის მიერ გაეწია ყველა მადგანს შესაბამისი კონსულტაცია.

რაც შეეხება კოვიდ -19 გავრცელებას; ჩვენს ცენტრში ჩატარდა - 2215 ტესტი . სულ რაიონში--12595. დაფიქსირდა 673 შემთხვევა, გამოჯანმრთელდა 672, ლეტალური-1.

დ. ჩიქოვანი,

აიპ "ხაშურის მუნიციპალიტეტის

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" დირექტორი

ხაშურის მუნიციპალიტეტს სამი ახალი ნაგავმზიდი მანქანა მოემსახურება.

ახალი ტექნიკა მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძემ და ა(ა)იპ "ხაშურსერვისის" ხელმძღვანელმა ზურაბ ნოზაძემ ჩაიბარეს.

ნარჩენების მართვის ტექნოლოგიების და მყარი ნარჩენების გატანის გაუმჯობესების მიზნით შეძენილია 10 და 16-კუბიანი „ივეკოს" ფირმის თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი ნაგავმზიდები. აქედან ერთი მანქანა - ღირებულებით 344500 ლარი, შეძენილია კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით საქართველოს მთავრობისგან მიღებული სახსრებით, ხოლო ორი - ჯამური ღირებულებით 792360 ლარი, შეძენილია ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით.

"ამ ეტაპზე მთავრობამ გადმოგვცა ერთი და ადგილობრივი ბიუჯეტის თანხით შევიძინეთ ორი დასუფთავების მანქანა. ეს ნაბიჯი არის გადადგმული სწორედ იმისთვის, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი უფრო მეტად მოვლილი და დასუფთავებული იყოს", - განაცხადა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

წაღვლში სკვერის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

„პროექტს, მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ვახორციელებთ, სკვერის მშენებლობა ადგილობრივ მცხოვრებლებს გართობისა და დასვენების საშუალებას მისცემს, აქაურობა განსაკუთრებით მოეწონებათ პატარებს, რადგან კაუჩუკის მოედანზე განთავსდება შესაბამისი სტანდარტებით მოწყობილი საბავშვო ატრაქციონები, დასასვენებელ სივრცეში დამონტაჟდება სკამები, გაკეთდება ფანჩატური. უკვე დასრულდა გარე განათების მონტაჟი, დაიგო ფილები. ვზრუნავთ ჯანსაღი წესის ხელშეწყობაზე, მინი სტადიონი და სკვერი, სწორედ, ამ მიზანს მოემსახურება"-აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცვნენ მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი, მათი განმარტებით, სამუშაოები ხორციელდება სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტის ფარგლებში და ღირებულება 95 247 ლარს შეადგენს.

ხათუნა ღვალაძე: „ჯადოსნური ქალაქის“ ჯადოსნური ხელმძღვანელი

მან, ხაშურის სამუსიკო სკოლის შვიდწლედის დამთავრების შემდეგ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის “ნიჭიერთა ათწლედში” მარინა გელაშვილის საფორტეპიანო კლასში გააგრძელა სწავლა. 1989 წელს კი, ვ.სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო კონსერვატორიაში, ფორტეპიანოს კლასის სტუდენტი გახდა. მისი სამუსიკო კარიერა თბილისის სახელმწიფო ორკესტრთან ერთად შესრულებულ მოცარტის რამდენიმე კონცერტს ითვლის. წლების მანძილზე მართავდა და მართავს სოლო კონცერტებს კლასიკური მუსიკის განხრით, მოსწავლეთა სოლო

კონცერტებს და საანგარიშო კონცერტებს საფორტეპიანო განხრით. მუშაობს ხაშურის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების ხელმძღვანელად და ფორტეპიანოს პედაგოგად. ამავე დროს, არის ხაშურის პირველი საჯარო სკოლის მუსიკის წამყვანი პედაგოგი. იმავე სკოლაში, პროექტის ფარგლებში ხელმძღვანელობს გუნდ “ჰანგს”. 2015 წლიდან ხელმძღვანელობს მუსიკალურ-თეატრალურ სტუდიას “ჯადოსნური ქალაქი”. ეს ქალბატონი ფართო საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობი მუსიკოსი ხათუნა ღვალაძეა, რომელიც საუბარში სიამაყით და სიყვარულით აღნიშნავს, რომ მომავალ წელს „ჯადოსნური ქალაქის“ საიუბილეო, 10 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტს გამართავს. მაშ ასე, დღეს ჩვენი რესპონდენტი უნიჭიერესი მუსიკოსი, დაუღალავი, მოფუსფუსე და მოამაგე, მომღიმარი და პოზიტივი ადამიანი ხათუნა ღვალაძეა.

- ბავშვობიდან ვმღეროდი, სამი, ოთხი წლიდან სცენაზე ვდგავარ. მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური მუსიკა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ყოველთვის იყო ჩემში საესტრადო მუსიკის, სიმღერის სიყვარული. მცირე ხანს ვიყავი ლეგენდარული ანსამბლის „მზიურის“ წევრიც. სულ ვმღეროდი და ვცდილობდი, წარმომეჩინა ჩემი თავი. არაჩვეულებრივ მომღერალთან, ნინო ახალკაცთან და ჩვენი სამუსიკო

სკოლის პედაგოგთან, კომპოზიტორ, უნიჭიერეს თეა ინასარიძესთან ერთად, გვქონდა ტრიო. სხვათა შორის, ბატონი გოგი,თქვენი გაზეთის რედაქტორი, უსახელო ტრიოს უწოდებდა. სულ ვმღეროდით, მე, როგორც პიანისტი ვუკრავდი. შემდეგ უკვე გამიჩნდა სურვილი, ჩამომეყალიბებინა პატარა სტუდია. მე და არაჩვეულებრივმა თეორეტიკოსმა ინგა ხრიკაძემ შევქმენით „ჯადოსნური ქალაქი“ 2014-2015 წლებში. სტუდიის სახელწოდება ჩემი ინიციატივა იყო, „ჯადოსნური ბავშვები“ „ჯადოსნურ ქალაქში“. დასაწყისში ყველაფერი მიმდინარეობდა ცოცხალი შესრულებით. ცოცხალი შესრულება ჩვენთვის ყოველთვის აქტუალურია. სტუდიის პირველი პროდუქტი იყო გოგი ცაბაძის არაჩვეულებრივი მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“, რომელიც, რა თქმა უნდა, ხელით გავაკეთე სამუსიკო სკოლის მცირე დარბაზში 12-13 მოსწავლით. იყო ძალიან დიდი გამოხმაურება. ერთი წლის შემდეგ უკვე დავიწყე ცალკე საქმიანობა. მეხმარებოდა თეა ტატიშვილი და მადლობა მას ამისათვის. ჩავრთეთ ფონოგრამები, ფესტივალები და ძალიან სწრაფად განვვითარდით. ვფიქრობ, მიზეზი იყო ის, რომ მე თვითონ ხელმეწიფებოდა დაკვრა. დღემდე, ძირითადად, ვმუშაობ ცოცხალი შესრულებით. ეს არის ჩემი და ჩემი სტუდიის სავიზიტო ბარათი, ჩემი დევიზი. ეს არის ძალიან რთული. თუმცა, ჩვენ ამით ვამაყობთ, რომ ჩვენ არ გვაქვს ე.წ. „პლიუსი“.

სტუდია „ჯადოსნური ქალაქი“ დღეს უკვე 45 მოსწავლეს აერთიანებს. ქალბატონი ხათუნა ამბობს, რომ მისთვის, როგორც სამუსიკო სკოლისა და საჯარო სკოლის პედაგოგისათვის, მუსიკალური სტუდიის გაძღოლა ძალიან რთულია. შაბათ-კვირას ახერხებს სტუდიაში მუშაობას. ძალიან დიდი მადლობას უხდის სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელს ლალი რუხაძეს თანადგომისათვის. იმისათვის, რომ სამუსიკო სკოლაში პატარა ოთახი აქვს სტუდიას მყუდროდ, მშვიდად მუშაობისათვის და ხაშურის საპატიო მოქალაქეს, ქალბატონ თინიკო კუპრაძეს, რომელიც მათი სამყოფელის სისუფთავეზე და სიკრიალეზე ზრუნავს. მუსიკალურ-თეატრალური სტუდია კარს უღებს ყველა ბავშვს 4 წლიდან 16-17 წლამდე. მონაწილეობენ ფესტივალებსა და შოუ პროგრამებში, საქველმოქმედო კონცერტებში, მუსიკალურად აფორმებენ სხვადასხვა ღონისძიებებს.

მცირე ჩამონათვალი „ჯადოსნურიქალაქის“ მონაწილეობითგამართული ფესტივალ-ღონისძიებებისა: კლასიკური, ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხაშურის ფესტივალი; ადგილობრივი დელფიადები; არიან გრანპრისა და ლაურეატის წოდებით დაჯილდოებულები; ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც 12 წელია იმართება; ქალთა დღისადმი მიძღვნილი გალა კონცერტი „არტ-ჰოლში“; ქართული სიმღერისა და ცეკვის სატელევიზიო ფესტივალი „მშვიდობა უკრაინას“; საქველმოქმედო სატელევიზიო ფესტივალი „დედაშვილობა“; „საირმის ფესტივალი“; სტუდია ხშირად სტუმრობს ხაშურის კეთილდღეობისა და განვითარების შშმ ბავშვთა დღის ცენტრს და ერთობლივად მართავენ კონცერტებს; არიან „ორი ჯუჯას“ მეგობრები;

ქალბატონი ხათუნა სტუდიის მოღვაწეობაზე საუბრისას განსაკუთრებით გამოარჩევს საქართველოს ხელოვანთა ასოციაციის ხელმძღვანელობით გამართულ ფესტივალ-კონკურსს „მუზა“, სადაც წარმატებით წარსდგნენ „ჯადოსნური ქალაქის“ მომღერალი ბავშვები, ლაურეატის წოდებით დაჯილდოვდნენ და ფესტივალ-კონკურსის მონაწილეთაგან გამოარჩიეს.

მათი მისამართით ისმოდა მქუხარე ტაში და ოვაციები.

- 2019 წლს გავაკეთეთ სტუდიის მომღერალი გოგონას თეკლა ხარაზიშვილის სოლო კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ მოწვეული მუსიკოსები მარიკა კვალიაშვილი, ნუნუ გაბუნია, გია მაჭარაშვილი, პასეანსელი ალეკო თეთრაშვილი. წელს, 25 აპრილს კი სამ არაჩვეულებრივ გოგონასთან მარიამ გრიგალაშვილთან, ელენე ნოზაძესთან და მარიამ ჩუბინიძესთან ერთად, შედგა ძალიან მაგარი კონცერტი. ესწრებოდნენ ხაშურის საზოგადოება, მერიის წარმომადგენლები, სტუმრები ბატონები გია მაჭარაშვილი და კახა ცაბაძე, ანსამბლ „თბილისის“ და ტრიო „თბილისის“ მომღერალი ზაზა მამალაძე, შოთა რუსთაველის ფონდიდან პროფესორი მაკა ხურციძე, ჩვენი მეგობარი ალეკო თეთრაშვილი და ა. შ. მოკლედ, ძალიან დიდი აღიარება ჰქონდა კონცერტს. კახა ცაბაძემ განსაკუთრეებით აღნიშნა, რომ სამი განსხვავებული ხმისგან, არ მეგონა, როგორ შეიძლებოდა მათი შეერთებაო... აი, ძალიან მოეწონა, ჩემთვის ექსპერიმენტივით იყო, რომ განსხვავებული ხმებისგან შემექმნა ტრიო და გამოვიდა, რა თქმა უნდა.

სტუდიის ნიჭიერი მომღერალი, ტრიოს წევრი ელენე ნოზაძე:

- გამარჯობა, მე ვარ ელენე ნოზაძე, 15 წლის, ვსწავლობ პირველ საჯარო სკოლაში და 6 წლიდან დავდივარ სტუდია „ჯადოსნურ ქალაქში“. ხათუნა მასწავლებელმა გამზარდა. დედამ გაიგო, რომ ხათუნა მასწავლებელი სიმღერას ასწავლიდა. უნდოდა, მეც მემღერა. მიმიყვანა სტუდიაში. დასაწყისში არ მინდოდა სიმღერა, მერე ძალიან მომეწონა. სიმღერა ჩემთვის არის მთელი ცხოვრება. სიმღერის და სტუდიიდ გარეშე ცხოვრება არ წარმომიდგენია. ჩემი მეგობრები, ხათუნა მასწავლებელი, მათ გარეშე არ წარმომიდგენია არაფერი. მუსიკა, ამ ეტაპზე, ჩემი ჰობია. ვფიქრობ ხოლმე, ხომ არ გავყვე სიმღერას. გასულ წელს, ბაშარულის რეპერტუარიდან ვასრულებდი „ის ვაჟი“, ასევე გამოვარჩევ ქვინის „ლივ ინ ონ მაი ოუნ“. ძალიან თავისუფლად ვარ სტუდიაში, ხათუნა მასწავლებელი გვაძლევს რჩევებს, რომ ინდივიდუალურად ჩვენზე მორგებული იყოს სიმღერა. სტუდიაში დადის ჩემი დაც, 7 წლის ბარბარე, მან მეორე კურსი დაამთავრა, წელს სოლო სიმღერით გამოვიდა წარმატებით.

სტუდიის ხელმძღვანელი ხათუნა ღვალაძე:

- „ჯადოსნური ქალაქის“ რეპერტუარი? საესტრადო, რა თქმა უნდა. ძირითადი მიმართულება ეს არის. მუშავდება ფორტეპიანოზე ხმა სხვადასხვა რითმული თვალსაზრისით. მე მაქვს ის სიმღერებიც, რომლებიც შეიძლება თავად არ ამერჩია, მაგრამ ბავშვები არჩევენ. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს შეთანხმება. გვაქვს კლასიკური საესტრადო ცნობილი კომპოზიტორების ქართული სიმღერები და თავისი სურვილით - უცხოური. მე ჩემს ხაზს ვატარებ, რომ მათ ბაზა ქონდეთ ქართული სიმღერების.

მუსიკალურ-თეატრალურმა სტუდიამ წელსაც გამართა ტრადიციული საანგარიშო კონცერტი. 20 ივნისს მსმენელს ორი კონცერტი შესთავაზა.

(დასასრული VI გვერდზე)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19,20,21,22,23,24)

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

მთელი მშრომელი საქართველო საბჭოების მხარეზეა.

ძირს ავანტურისტული ბრბოები.

სიკვდილი ბატონებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამხობას ცდილობენ.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მთავრობას.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა ძალაუფლებას საქართველოში და მთელ ქვეყანაზედ!“.

სურამლები დღეს კრულვით იგონებენ ,,მენშევიკების ბატონობის დროს“, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდს, როცა ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) იდგნენ. თუმცა ეს დღეს ასეა, მაგრამ ასე არ იყო იმ პერიოდში. სურამლები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. 1918 წლის 2 ივნისს აქ დიდი მიტინგი გაიმართა, ხალხი ერთმანეთს ულოცავდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას და ბევრის თვალში სიხარულის ცრემლები ბრწყინავდა. უფრო მეტიც, პირველი დეპეშა ქართულ ენაზე სურამიდან გაიგზავნა საქართველოს მთავრობის სახელზე დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით...

მაგრამ ასეც ხდება, ეს პირველი შემთხვევა არ იქნება საქართველოსთვის...

1921 წლის 5 მარტს სურამში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

თამარ ხორავა: ,,მარტის დასაწყისი იყო, სურამს შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი ესტუმრა. ხალხი შეიკრიბა. რა უთხრა ნოე რამიშვილმა არ ვიცი. მეზობლები სურამიდან წავიდნენ, ბოლშევიკები მოდიანო. ჩვენც გვეუბნეოდნენ წასვლას... სროლის ხმა ისმოდა... შუაღამისას კარებზე ბრახუნი გაისმა. დედაჩემი, რომელსაც წინსაფრად ტომარა აეფარებია, გავიდა და უთხრა წითელარმიელებს, ჩვენ მოჯამაგირეები ვართ, სახლის პატრონი არ ვიცით სად არის... იურისტი ვალოდია ცაგურია ჩვენს ქვემოთ ცხოვრობდა, გასაშრობად გამოტანილი თეთრეული მოპარეს წითელარმიელებმა...“ თინა ქებაძე-ინასარიძისა: ,,დიდი ზამთარი იყო, საშინლად ყინავდა. მენშევიკების ჯარი უკან იხევდა, სურამში დაბანაკდნენ. ჯარის ხელმძღვანელობაში ბევრი ნაცნობი გვყავდა, ჩვენთან მოვიდნენ. მამამ სადილი გაუმართა... გვითხრეს, მალე ბოლშევიკები შემოვლენ, თქვენთვის აქ დარჩენა საშიშია, გათენებისას წადით... შევკარით გუდანაბადი, ჩავჯექით მარხილში და წავედით... მატარებელში გადავჯექით, ძალიან მძიმე წუთები იყო... სამტრედიაში ჩამოგვყარეს მატარებლიდან. გაზაფხულამდე კულაში ვიმყოფებოდით, მერე დავბრუნდით სურამში. ბოლშევიკები ჩვენს სახლში დაბანაკებულიყვნენ...“

სხვათა შორის, ახალი ხელისუფლების მოსვლა, როგორც სხვაგან, სურამშიც მიტინგებით დაიწყო.

1921 წლის 1 აპრილს სურამში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელმაც მოისმინა გიორგი ელისაბედაშვილის მოხსენება და მიიღო შემდეგი რეზოლუცია: ,,ჩვენ, ქალაქ სურამის და მისი მახლობელი სოფლების მცხოვრებნი, სალამს ვუძღვნით საქართველოს რევკომს, რომელიც ჭეშმარიტი გამომხატველი და მედგარი დამცველია მუშათა და გლეხთა ინტერესებისა. ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ჩვენი თანხმობით და წითელი არმიის მამაცური ბრძოლით, საბოლოო გამარჯვებას მოუპოვებთ მაშვრალთა კერას...

ძველს ლტოლვილ მენშევიკურ მთავრობას, რომელმაც ჩამოგვაშორა რა რუსეთის რევოლუციონურ გლეხ-კაცობას და რევოლუციის ავანგარდს - პროლეტარიატს, - საქართველო დაღუპვის გზამდე მიიყვანა.

იმედს გამოვსთქვამთ, რომ აღდგენილი კავშირით და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის გზით, ჩვენ ავაყვავებთ ჩვენს მუშურ-გლეხურ სამშობლოს და სრულის გამარჯვებით ბურჟუაზიაზე გავამეფებთ კომუნისტურ წყობილებას.

გაუმარჯოს საქართველოს რევკომს და წითელ არმიას, გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას!“.

1 მაისს სურამში გამართულმა სადღესასწაულო მიტინგმა, რომელსაც 2000 - მდე კაცი ესწრებოდა, მიიღო რეზოლუცია: ,,ფიცსა ვდებთ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ საბჭოთა ძალაუფლებას. გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატს და მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალის ბელადებს!“.

სურამში საბჭოთა ხელისუფლება არსებობის პირველ დღეებს ითვლიდა. თითქოს არაფერი მომხდარა, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკური ფრთის ხელისუფლებას ბოლშევიკური ფრთის ხელისუფლება ჩანაცვლებოდა. თითქოს მართლაც არაფერი მომხდარიყო, მაგრამ სულ მალე ახალმა ხელისუფლებამ თავისი სახე გამოაჩინა, ქვეყანაში იწყებოდა საშინელი რეპრესიები, რასაც სურამიც ვერ გადაურჩა...

1924 წლის აგვისტო დამდგარიყო...

დღეს კი, როგორც არ უნდა მოგვეჩვენოს, სურამლები ზიზღს უცხადებენ დამოუკიდებელი საქართველოს წლებს და აჯანყების ყველა მონაწილის სასტიკ დასჯას მოითხოვენ.

,,სიკვდილი ბატონებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამხობას ცდილობენ“, - გამოაქვთ რეზოლუცია სურამლებს, თუმცა სურამში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის არანაირი მცდელობა ყოფილა.

და სურამშიც ამუშავდა სადამსჯელო ორგანოები. დაპატიმრებული და დახვრეტილი იქნა სურამის საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები.

ერთ-ერთი ვინც დააპატიმრეს და დახვრიტეს ალექსანდრე ხორავა იყო.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში, რკინიგზის განვითარების კვალობაზე, ხაშურსა და მის სახელდებულ რაიონში გარკვეული ცვლილებები ხდება მოსახლეობის შემადგენლობაში. ხაშურში, სურამში, გომში ძირძველი მოსახლეობის გვერდით გაჩნდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (სამეგრელო, რაჭა, გურია, იმერეთი) სამუშაოდ ჩამოსული მოსახლეობა, რომელთა დიდი ნაწილიც აქვე დამკვიდრდა. გაჩნდა უცხო ელემენტიც, რომელიც მანმადე წარმოდგენილი არ იყო რაიონში (გერმანანელი, პოლონელი, იტალიელი).

ახლად გამოჩენილი მოსახლეობის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა დაბა სურამი, რომელიც იმ დროს არა მარტო მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს, არამედ საკურორტო ადგილსაც წარმოადგენდა. სწორედ აქ სახლდებიან სამეგრელოდან გადმოსული მოსახლეობა. ისინი აქტიურად ებმებიან დაბის ცხოვრებაში და მნიშვნელოვანი წვლილიც შეაქვთ მის განვითარებაში. ეს კარგად ჩანს დაბის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში, მონაწილეობენ ბიბლოთეკისა და სკოლის დაარსებაში, თეატრალურ ცხოვრებაში და ა.შ.

XIX ს-ის 90-იანი წლებიდან სურამში მკვიდრდება ალექსანდრე ხახულას ძე ხორავა, რომელიც წარმოშობით სამეგრელოს ერთ-ერთი სოფლიდან – ოჩხამურიდან იყო. იგი აქ დაიბადა 1868 წელს. სანამ იგი სურამში ჩამოვიდა, როგორც ჩანს, მანმადე აქ უკვე დამკვიდრებულია მისი ძმა - მიხეილ ნიკოლოზის ძე შურღაია. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ მისი ხელშეწყობით მოხდა ალექსანდრე ხორავას დამკიდრება სურამში. ისინი დედით ერთნი იყვნენ და ნამდვილ ძმობას უწევდნენ ერთმანეთს. მიხეილ შურღაია ვაჭრობას ეწეოდა, მისი სახლი და სავაჭრო დუქანი სურამის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარეობდა, იქ სადაც დღეს მუსიკალური სკოლაა. ალექსანდრე ხორავამაც ხელი მიჰყო ვაჭრობას, ამასთან აქტიურად ჩაება დაბის კულტურულ- საგანმანათლებლო საქმიანობაში.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია ალექსანდრე ხორავას წვლილი სურამში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში. აქ ბიბლიოთეკა დაარსდა ცნობილი ფოტოგრაფის ალექსანდრე როინიშვილის დიდი მეცადინეობით. მან თავისი ერთი ნაწილი შესწირა სურამის, ხოლო მეორე ნაწილი დუშეთის ბიბლიოთეკას. მას მხარში ედგა შემდგომში, ცნობილი მეტყევე და საზოგადო მოღვაწე მიხეილ მურვანიშვილი. აქვეა ალექსქნდრე ხორავაც, რომელიც საუკუნის ბოლოს უკვე სურამის სამკითხველოს გამგეა.

1895 წლის 1 ივლისს გაზეთი ,,ივერია'' აქვეყნებს წერილს სურამიდან: ,,ეს ერთი წელიწადი არც-კია, რაც საჭირო წიგნთ-საცავის დაარსება განვიზრახეთ და აი, გამოჩნდა კიდეც რამდენიმე გულშემატკივარი ადამიანი, მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი და ახლა, ჩვენდა სასიხარულოდ და საბედნიეროდ, თუმცა პატარა თანხით, მაგრამ წიგნთსაცავი სამკითხველო გავხსენით.

დიდს სიკეთეს იზავდნენ ჩვენი ქართული ჩვენს ჟურნალ – გაზეთების გამომცემელნი, რომ ჯერ ნორჩსა და წიგნიერად სუსტსა წიგნთსაცავს დახმარებას აღმოუჩენენ და თავიანთს გამოცემებს გამოგვიგზავნიდნენ''.

ახლად დაარსებულ ბიბლიოთეკას მატერიალურად ეხმარებოდნენ ადგილობრივი სცენისმოყვარეები. მათ მხარში ედგნენ ქართული სცენის ოსტატები. ხშირად ერთად დგამდნენ წარმოდგენებს და შემოსავალს მთლიანად ბიბლიოთეკას აძლევდნენ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შესაძენად და სხვა.

1898 წლის 8 სექტემბერს ალ. ხორავა გაზეთ ,,ცნობის ფურცელში" წერდა: ,,ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო, ტფილისის დრამატული დასის არტისტებს ქ-ნ კარგალეთელისას, ბ.ბ. ყიფიანს, სვიმონიძეს, შათირიშვილს და გალიუსტოვს, რომელთაც დაბა სურამში ქართული წარმოდგენა გამართეს და შემოსავალის, გარდა ხარჯისა, შემოსწირეს სურამის სამკითხველოს. აგრეთვე ვმადლობთ ბნ-ალ. ნათაძეს, რომ მის მეცადინეობით და თაობით იქნა წარმოდგენილი, რომელმაც დიდი შრომა მიიღო, აგრეთვე მადლობას ვწირავთ, რომლებმაც დახმარება გაუწიეს, ე.ი. ინჟინერი ბ. მუატის ოჯახობამ, ქ.ქ. აბაზაძისა, სავანლისა, ბ. ბ. აბაზაძეს და მურმანიშვილს, როგორც მე, აგრეთვე გულითად მადლობას წირვენ სურამის სამკითხველოს წევრები ყველანი საერთოდ ზემომოხსენებულ პირებს. ალ. ხორავა სისტემატურად ეხმარებოდა სურამის ახლად დაარსებულ ბიბლიოთეკას. ამიტომ იყო რომ იგი საზოგადოებისგან ყოველთვის დიდ პატივისცემას იმსახურებდა. 1901 წლის25 აგვისტოს გაზეთ ,,ცნობის ფურცელი" წერდა: ,,სურამიდან გვატყობინებენ, რომ იქაურ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საქმე რიგიანად ვერ იყო დაყენებული, რადგან საქმეს მეთაური და გამძღოლი არავინა ჰყავდა, ეხლა ბიბლიოთეკის გამგებლობა უკისრიათ უსასყიდლოდ ადგილობრივ იტრიის სკოლის მასწავლებელს ნებიერიძეს და რკინის გზის მოხელეს მურვანიშვილს, რომელნიც ვაჭრის ხორავას დახმარებით აპირებენ უკეთესად მოაწყონ სამკითხველოს საქმე".

ალ. ხორავა ყოველთვის გამოირჩევა თავისი მოქალაქეობრივი პოზიტივით. ზრუნავდა სურამის იერსახეზე, ცდილობდა თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა დაბის კეთილმოწყობის საქმეში. ამხელდა დაბისთვის არასასურველ მდგომარეობას, რასაც შეიძლება მძიმე შედეგი მოეტანა მოსახლეობისათვის და ა.შ.

1897 წლის 4 მარტს გაზეთ ,,ცნობის ფურცელში" ოჩხამურელს ხელმოწერით გამოქვეყნებულ წერილში ყურადღებას აქცევს დაბის სანიტარულ მდგომარეობას და წერს: ,,ვკითხულობთ და გვესმის გაზეთებიდან, შავი ჭირის შესახებ ყველა მხარისა და ყველა ქალაქებში და დაბებში დიდი მომზადება აქვთ. ხოლო ჩვენი სურამის ბედად ყურსაც არავინ იბერტყავს. თუმცა არიან მოვალენი ამისთანა შემთხვევაში უსწავლელ ხალხს და უცოდინარს უჩვენონ გზა, მაგრამ თავს არ ტკენულობენ“.

საინტერესო ურთიერთობები ჰქონდა ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლებთან. სურამის მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად, იგი ხშირად მათი მასპინძელია. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს ცნობილი ქართველი მოაზროვნის არჩილ ჯორჯაძის სურამში სტუმრობა და მასთან ალ. ხორავას ურთიერთობაზე.

ალ. ხორავა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც აგრძელებს საქმიანობას.

იგი თავისი მსოფლმხედველობით ეროვნულ-დემოკრატი იყო. თანამშრომლობდა ამავე სახელწოდების პარტიასთან.

1924 წლის აგვისტოს, აჯანყების დროს, სხვებთან ერთად, მასაც აპატიმრებენ. მისი ქალიშვილი თამარ ხორავა შემდგომში იგონებდა: ,,მამა თავის დროზე გორის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. სასულიერო სფეროში არ უმოღვაწია. ვაჭრობას მიჰყო ხელი. სულ მალე საკმაოდ ცნობილი ვაჭარი შეიქმნა, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა, ეწეოდა ქველმოქმედებას...

მაშინ 12 წლისა ვიყავი. აგვისტოს ბოლო რიცხვები იყო მგონი. ღამით ალყა შემოარტყეს სახლს. მოვიდნენ, ააყენეს მამაჩემი და წაიყვანეს. არაფერი დამიშავებია და მალე მოვალო-თქვა მამაჩემმა.

წინა დღეს მამასთან დავით შურღაია მოვიდა, ისიც ვაჭრობას ეწეოდა და ჩვენი ნათესავიც იყო და მამას უთხრა, დროებით, ამ რთულ სიტუაციაში სურამს გასცლოდნენ. მაგრამ მამა არ წავიდა, მე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვისო. დავით შურღაია დასავლეთ საქართველოში გადავიდა და გადარჩა. დედაჩემს ერთდროულად დაუხვრიტეს მეუღლე და მამა _ სილიბისტრო უჩანეიშვილი.

სურამიდან, მამაჩემთან ერთად, დახვრიტეს, მიხლა არუწოვი, ებრაელების რაბინი, ირაკლი მურვანიშვილი, იოსებ ბებიაშვილი, ტიტიკო აბაზაძე, მიხეილ აბაზაძე...

ირაკლი მურვანიშვილი 21 წლის ახალგაზრდა იყო. მამამისი მიხეილი ცნობილი მეტყევე იყო. ერთი ვაჟი ადრე გარდაეცვალა. შემდგომში მისი ერთ-ერთი ქალიშვილი დავით შურღაიას მეუღლე გახდა... თურმე მამა დახვრიტის დროს წინ გადაეფარა და უთქვამს: მე ორმოცდათექვსმეტი წლისა ვარ და ვერ შემცვლით, ამას ნუ დახვრიტავთ ახალგაზრდაა და როგორც გინდათ ისე აღზრდოთო...

ორი მიხეილ აბაზაძე იყო, ერთი ოძისელი და მეორე ზინდისელი. ოძისელი მიხეილ აბაზაძე მკაცრი ყოფილა, ტიტიკო აბაზაძე ოძისელი მიხეილ აბაზაძის შვილი ეგონათ, სინამდვილეში ზინდისელი მიხეილ აბაზაძის შვილი იყო. ოძისელი მიხეილ აბაზაძეც დახვრიტეს.

ირაკლი მურვანიშვილი, რომ დაუჭერიათ, ქომაგი გამოჩენია თურმე, ამ ახალგაზრდა კაცს რაღას ხვრეტთო, პასუხი ასეთი ყოფილა: მთელი სურამი უნდა დავაშინოთო... დედაჩემი ციხეებში დადიოდა მეუღლის ბედი, რომ გაეგო, გორში უთხრეს, რომ დახვრეტილიაო, მიხლა არუწოვი რომ დაიჭირეს, მეორე დღეს მისი მაღაზია (დღევანდელი საბჭოს შენობის პირველ სართულზე იყო მოთავსებული) გატეხეს და მთელი საქონელი დაიტაცეს.

იოსებ ბებიაშვილი ახოვანი, წარმოსადეგი, შესანიშნავი პიროვნება იყო, შვილებიც შესანიშნავი ყავდა...

მერე დედა სისტემატურად დადიოდა გორში და იქ, სადაც მამა დახვრიტეს ჩუმათ ანთებდა სანთლებს. სხვებიც აკეთებდნენ ამას...

ჩვენი ოჯახი დიდხანს ითვლებოდა, როგორც არასაიმედო ოჯახი. ამიტომ იყო, რომ მეც და ჩემს მომდევნო დას აქ სკოლაში არ გვღებულობდნენ. მარიამ ორახელაშვილის დახმარებით მე ძლივს მიმიღეს თავისუფალ მსმენელად თბილისის მე-15 სკოლაში. მომდევნო და გორში წავიდა და იქ მიიღეს. რაც შეეხება უმცროს დას, იგი ჩვენზე პატარა იყო და შემდეგ მას რაიმე წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია.''

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

წარდგენილნი არიან მასწავლებელთა ეროვნულ ჯილდოზე

ნათელა გოგალაძე

2023 წელს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინიციატივით, საქართველოში მასწავლებლის ეროვნული დღე დაწესდა, რომელიც ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს, 27 ოქტომბერს, აღინიშნება. ყოველწლიურად, განათლების სისტემაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის პედაგოგებს გადაეცემათ მასწავლებლის ეროვნული პრემია - სამკერდე ნიშანი და ფულადი ჯილდო, თითოეულს 10 000 ლარის ოდენობით.

თაობების მიმართ მასწავლებელთა ღვაწლის აღიარების, მათი დაფასებისა და წახალისების მიზნით, ჩვენი სკოლების სასკოლო საზოგადოების მაღალი ჩართულობით, განვიხილოთ და წარვადგინეთ იმ მასწავლებელთა კანდიდატურები, რომელთაც თანამედროვე მეთოდებით, კრეატიულობით, ინოვაციური მიდგომებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მოსწავლეთა აღზრდაში, მათი ცხოვრებისეული პრინციპების ფორმირებაში, საკუთარი პიროვნული მაგალითით და ლიდერული თვისებებით განსაკუთრებული დამსახურება აქვთ მოსწავლეთა მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში, სასკოლო თემის განვითარებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და განათლების ხარისხის ამაღლებაში.

ნუნუ ბიბილური

კანდიდატების დამსახურების განხილვისას გათვალისწინებული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

საჯაროდ აღიარებული ნდობა და ავტორიტეტი (სკოლაში, თემში ან/და ქვეყნის მასშტაბით);

მოსწავლეების აკადემიური მიღწევებისა და პიროვნული ზრდის აქტიური მხარდაჭერა;

ქეთევან გოგალაძე

მოსწავლეებში სწავლის მოტივაცია და შემეცნების სურვილის გაღვივება;

პედაგოგიკური და პროფესიული ცოდნის გაზიარება და პროფესიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი;

ეროვნული და საერთაშორისო პროექტების განხორციელების ინიციატივა;

საგანმანათლებლო/პედაგოგიკური რესურსების შექმნა და გაზიარება;

სამოქალაქო და სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით აქტივობებში სამაგალითო ჩართულობა;

სასკოლო საზოგადოებაში შემოქმედებითი იდეების წახალისება;

ინოვაციური სასწავლო პრაქტიკის დანერგვა სკოლის, საზოგადოების ან ქვეყნის/სისტემის კონკრეტული საჭიროებების საპასუხოდ;

სკოლის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი;

ადამიანების კეთილდღეობასა და ზრუნვაზე დაფუძნებული აქტივობების/ღონისძიებების აქტიური მხარდაჭერა და განხორციელება;

ნანა ლორთქიფანიძე

განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლებიდან მასწავლებლის ეროვნულ პრემიაზე წარდგენილი გვყავს 6 კანდიდატი:

სსიპ დავით კაკიაშვილის სახელობის ხაშურის N2 საჯარო სკოლიდან-ინგლისურის ენის პედაგოგი **ქეთევან გოგალაძე.**

სსიპ ხაშურის N 7 საჯარო სკოლიდან-საბუნებისმეტყველო - ბიოლოგიის მასწავლებელი **ანა ტაბატაძე.**

ანა ტაბატაძე

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ხაშურის N3 საჯარო სკოლიდან - მუსიკის მასწავლებელი **ნანა ლორთქიფანიძე.**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის მუსიკის მასწავლებელი **ნანა ჯოხაძე.**

სსიპ ქრისტეფორე III ს სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის N4 საჯარო სკოლიდან გეოგრაფიის მასწავლებელი **ნუნუ ბიბილური.**

სსიპ ლესია უკრაინკას სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის N3 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი **ნათელა გოგალაძე.**

ნანა ჯოხაძე

წარმოდგენილ განაცხადებს ზემოთჩამოთვლილი კრიტერიუმების საფუძველზე განიხილავს სამინისტროს მიერ საზოგადოებაში მაღალი ნდობის მქონე სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნილი კომისია ანონიმურად და გამოავლენს საუკეთესო ისტორიების მქონე მასწავლებლებს.

გამარჯვებულ ლაურეატებს მასწავლებლის ეროვნული პრემია გადაეცემა საჯაროდ, საზეიმო ვითარებაში, მიმდინარე წლის 13 სექტემბერს.

წარმატებას ვუსურვებ თითოეულ მათგანს, ისინი უკვე აღიარებულნი არიან თავიანთი სკოლების სასკოლო საზოგადოებების და მუნიციპალიტეტის საზოგადოების მხრიდან, როგორც საუკეთესო მასწავლებელები , ახლა კი ვუსურვებ გამარჯვებას და საყოველთაო აღიარებას .

მანანა აბაზაძე,
ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხათუნა ღვალაძე: „ჯადოსნური ქალაქის“ ჯადოსნური ხელმძღვანელი

(დასასრული)

ხათუნა ღვალაძე სიამაყით აღნიშნავს, რომ მისი პატარა მომღერლები მხოლოდ „მინუსზე“ მღერიან, არ აქვთ „პლიუს“ ფონოგრამები. ის, რაც მათ მუსიკალურ სამყაროში გამოარჩევთ და საკუთარ ნიშას სძენს, ცოცხალი შესრულებაა. სტუდიის მოსწავლეებთან პედაგოგი

ყოველთვის ფორტეპიანოსთან მუშაობს. „ჯადოსნურ ქალაქს“ უკვე კურსდამთავრებულებიც ჰყავს, თუმცა ზოგიერთი მათგანი აგრძელებს თანამშრომლობას სტუდიასთან. „-ძალიან ნიჭიერები, თეატრალურები, არაჩვეულებრივები არიან. მადლობა, რომ ისინი ჩემები არიან“,- ამბობს საუბრის დასასრულს ქალბატონი ხათუნა.

ინტერვიუს დასასრულს კი „ჯადოსნური ქალაქის“ პატარა მომღერლების მშობლის შეფასებაც საინტერესო იქნება სტუდიის საქმიანობაზე. ხათუნა ჩიტაძე:

- ბევრი არ მიფიქრია, გადავწყვიტე, რომ სტუდია ,,ჯადოსნური ქალაქი” და მისი ხელმძღვანელი, ხათუნა ღვალაძე სწორად და ზუსტად წარმართავდა ბავშვების ხმასა და სურვილებს. რატომ ქალბატონი ხათუნა? ჩემთვის პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა პირველ ადგილზე დგას! ამას დამატებული ბავშვებისადმი თბილი დამოკიდებულება და სიყვარული. დემეტრე და მარიამი 5-6 წლისები იყვნენ სტუდიაში მისვლისას. არ მახსოვს მცირედი უხერხულობაც კი ურთერთობაში. აგერ უკვე 7-8 წელს ითვლის ჩვენი ურთიერთობა და მე, როგორც მშობელი, ძალიან კმაყოფილი ვარ ქალბატონი ხათუნას ერუდიციისა, შრომისმოყვარეობისა და თანამშრომლობისა.

მარიამი დღეს ,,ჯადოსნური ქალაქის” სოლისტია და არაერთ შემოქმედებით კონკურსსა თუ საღამოზე აქვს მონაწილეობა მიღებული.

როგორც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ცნობადი ადამიანები აღნიშნავენ, სტუდიას არ ჭირდება წარმატების სურვილები, ის უამისოდაც წარმარტებულია. „ჯადოსნური ქალაქის“ ხელმძღვანელს უფრო ხშირად

გამძლეობას უსურვებენ, რადგან ხათუნა ღვალაძე სრულიად მარტო, ენერგიული და მიზანდასახული უძღვება სტუდიის საქმიანობას, უამრავი წარმატების მომსწრე და შემოქმედი გამხდარა და სამომავლოდაც აგრძელებს მოღვაწეობას წარმატებისა და აღიარებისათვის.

თეა ახალკაცი

ნათელა ფანქველაშვილის ხსოვნას



ხომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც არა მარტო საკუთარი ოჯახისთვის არიან ძვირფასი, არამედ თავისი არსებობით გარშემომყოფთაც ბედნიერებას ანიჭებენ. სწორედ ასეთი ქალბატონი ბრძანდებოდა ნათელა ფანქველაშვილი, დიდი, ტრადიციული ოჯახის ღირსეული დიასახლისი და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - სანიმუშო პედაგოგი და ადამიანი, მრავალთა აღმზრდელი და მაგალითის მიმცემი. სწორედ ასეთ მადლიან ადამიანებზე იტყვიან ხოლმე: თავისი არსებობით შუქს ჰფენდა გარემოს და სიკვდილით თითქოს ჩრდილი მოეფინა ყველა იმ ადამინის გულს, ვისთანაც კი მას ურთიერთობა ჰქონია. მრავალი თაობის აღმზრდელი, საუკეთესო შვილების დედა და ბებია, ხაშურში ყველასათვის საყვარელი კაცის ჯემალ კიკნაძის ღირსეული მეუღლე, სამეზობლოს მზრუნველი და ჭირისუფალი, ასეთი იყო ქალბატონი ნათელა. ასე იცხოვრა, ასე იღვაწა. ჩვენს ქალაქში, ჩვენთან - მუზეუმში თუ სხვაგან გამართულ საღამოებს მისი სახით ჰყავდა განათლებული, დიდი სულიერების მქონე ნამდვილი ხაშურელი ქალბატონი, გულანთებული, ბევრის მომსწრე და საკუთარ არსებაში ყველა ამაღლებული ტრადიციის შემნახველი. ასეთი ადამიანები არ ბერდებიან, ასეთი ადამიანების წასვლა ამქვეყნიდან ყველა ასაკში დიდი ტკივილია. ნათელი მის სულს მარადიულ გზაზე!

მურად მთვარელიძე,
„ხაშურის მოაბის“ რედქაქციის თანამშრომლები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.